

თსსუ ქირურგიის დეპარტამენტი N2

1. პროფესორი გია თომაძე



2. ასოცირებული პროფესორი ლევან გოფოძე. პასუხისმგებელი აკადემიურ საკითხებზე



3. ასოცირებული პროფესორი ავთანდილ მეგრელაძე.
პასუხისმგებელი სამეცნიერო მუშაობის საკითხებზე



4. ასოცირებული პროფესორი გივი ჩიქობავა



5. ასისტენტ პროფესორი გია აზმაიფარაშვილი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის N2 დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის N2 დეპარტამენტი განთავსებულია ოთხ კლინიკურ ბაზაზე:

1. ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებულ გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში (წინანდლის ქუჩა №9), რომელიც 2016 წლიდან წარმოადგენს თსსუ ავილირებულ კლინიკას;
2. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო, ვაჟა ფშაველას 33);
3. წმინდა მიქეილის სახ. საავადმყოფოში (ლუბლიანას № 8);
4. ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო “რესპუბლიკა“-ს ტერიტორიაზე. შპს “გიდმედი” (ლუბლიანას ქუჩა №2).

თსსუ ქირურგიის №2 დეპარტამენტი წარმოადგენს ორი უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე კათედრის მემკვიდრეს. მათგან პირველი 1931 წელს დაარსდა და თსსი დედათა და ბავშვთა დაცვის (შემდგომში პედიატრიული) ფაკულტეტის ქირურგიულ კათედრად იწოდებოდა (პირველი გამგე იყო პროფ. ალექსანდრე წულუკიძე). ხოლო მეორე 1935 დაარსდა როგორც თსსი პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრა (პირველი გამგე – პროფესორი ეფრემ ზაქარაია).

თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული კლინიკის ბაზაზე არსებული პედიატრიული ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრა 1931 წლიდან არსებობს.

1935 წელს კათედრა გადავიდა თბილისის III საავადმყოფოში. 1941 წელს დაბრუნდა I საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიის ბაზაზე. 1943 წლიდან დღემდე განთავსებულია III ქირურგიული განყოფილების ბაზაზე (ამჟამად შპს “გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი“).

კათედრის გამგეები იყვნენ: 1931-35 წწ: ალექსანდრე წულუკიძე; 1935-41 წწ: პროფ. ეფრემ ზაქარაია; 1941-43 წწ: პროფ. მიხეილ კოკოჩაშვილი; 1943-74 წწ: პროფ. დარია ბერეჟიანი; 1974-89 წწ: პროფ. ავთანდილ კუტუბიძე; 1989-2002 წწ: პროფ. გია გოკიელი.

1935-41 წწ-ში კათედრა გადაკეთდა საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის სამხედრო-საველე ქირურგიის დოცენტურად, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. მ. კოკოჩაშვილი.

1943 წელს ჩამოყალიბდა პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო ქირურგიის კათედრად, რომელსაც 31 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფ. დარია ბერეჟიანი. ეს უკანასკნელი 1974 წელს შეცვალა პროფ. ავთანდილ კუტუბიძემ, რომელიც 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა კათედრას.

1989-2002 წწ-ში კათედრას, რომელსაც გამოეყო პედიატრიული ფაკულტეტი და იწოდებოდა სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო ქირურგიის კათედრად, ხელმძღვანელობდა პროფ. გია გოციელი.

2002 წელს თსსუ-ში მომხდარი რეორგანიზაცია გულისხმობდა კათედრის გადასვლას იმჟამინდელი რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე და პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრასთან შეერთებას, რაც კათედრის თანამშრომელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით არ განხორციელდა. ჩვენ, ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ტრადიციულ, ქირურგიული დატვირთვით ყოველთვის გამორჩეული კლინიკის დატოვებას ვარჩიეთ იმჟამინდელი სამედიცინო აკადემიის სტრუქტურაში გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი “გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრის” ფორმით, რომლის ჩამოყალიბება ითავა პროფ. გია გოციელმა. ზოგადქირურგიული კლინიკის ბაზაზე განთავსებული ეს ცენტრი, სამედიცინო აკადემიის თსსუ სტრუქტურაში შესვლის შემდეგ, პოსტდოქტორულ სწავლებაში მონაწილეობს.

2009 წლიდან ქალაქის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე მყოფმა ზოგადქირურგიულმა კლინიკამ დაიბრუნა თსსუ დიპლომამდელი სწავლების სტატუსი და 2015 წლამდე იწოდებოდა კერძო ქირურგიის №1 მიმართულებად, ხოლო 2016 წლიდან იწოდება ქირურგიის N2 დეპარტამენტად. კათედრის გამგეების გარდა სხვადასხვა დროს კათედრის თანამშრომლები იყვნენ: პროფესორები შოთა მირაშვილი, როზალიუს ჩხეიძე, დოცენტები სულხან ქემოკლიძე, გურამ ღლონტი და დიმიტრი წოტოიძე, ასისტენტები გია ლორთქიფანიძე, არტემ სომუნჯიანი.

დეპარტამენტის მეორე წინამორბედს წარმოადგენს არანაკლები ისტორიისა და ტრადიციების მქონე თსსუ პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრა.

აღნიშნული კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი ეფრემ ზაქარაია, რომელიც მას 1933-1935 წლებში ხელმძღვანელობდა. აღნიშნული კათედრა თავდაპირველად რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე მდებარეობდა სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრასთან ერთად. 1940 წელს იგი შეუერთდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე არსებულ სან-ჰიგიენური ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრას (პლენხანოვის 60), ხოლო 1956 წელს სტომატოლოგიური ფაკულტეტების ზოგადი ქირურგიის კათედრას და ეწოდა პედიატრიული, სტომატოლოგიური და სან-ჰიგიენური ფაკულტეტების ზოგადი ქირურგიის კათედრა. 1985 წლიდან კათედრის სახელწოდება იყო პედიატრიული ფაკულტეტის ქირურგიის კათედრა. 1938-1960 წლებში კათედრაზე მოღვაწეობდნენ პროფესორები: ერმალოზ თოდაძე, ვასილ ბაბუხაძე, სოფიო ბუაჩიძე; დოცენტი თამარ გიორგობიანი, ასისტენტი ნინო თურმანიძე. ასევე სხვადასხვა წლებში კათედრაზე მუშობდნენ: ალექსანდრე გზირიშვილი, ვასილ კირვალიძე, ვლადიმერ კიკნაძე, ანატოლი ტოგონიძე, გიორგი ფხაკაძე, რევაზ ჩუხრუკიძე, ბესარიონ მიქაბერიძე, ნუგზარ მშვიდლობაძე. 1974 წელს კათედრის ხელმძღვანელობის ინიციატივით ჩამოყალიბდა უროლოგიის კათედრა.

პროფესორ ილია ახმეტელის გარდაცვალების შემდეგ (1939 წ.) კათედრას 1939-68 წწ. ხელმძღვანელობდა პროფესორი ერმალოზ თოდაძე, 1969- 73 წწ. - პროფესორი ოთარ ჭუმბურიძე, 1979-97 წწ. - პროფესორი სერგო ხუნდაძე, 1997-2006 წწ. - პროფესორი რევაზ მაღალაშვილი.

2006 წლიდან აღნიშნული კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა კერძო ქირურგიისა და ურგენტული ქირურგიის მიმართულებები, რომელებსაც შესაბამისად ხელმძღვანელობდნენ სრული პროფესორები გია ლობჯანიძე და ლეონიდე თოხაძე. 2009/2010 სასწავლო წლიდან ის იწოდება თსსუ კერძო ქირურგიის №1 მიმართულებად, ხოლო 2016 წლიდან - ქირურგიის #2 დეპარტამენტად.

2009 წლიდან თსსუ ქირურგიის №2 დეპარტამენტის შემადგენლობაში 6 აკადემიური პერსონალია: დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი გია თომაძე, ასოცირებული პროფესორები არიან გივი ჩიქობავა, ავთანდილ მეგრელაძე, ლევან გოფოძე, ასისტენტ პროფესორია გია აზმაიფარაშვილი. მიმართულების მოწვეული პედაგოგები არიან მედიცინის დოქტორები გია თაგბერიძე, კახი ხუციშვილი და მალხაზ შანიძე. 2015 წლიდან დეპარტამენტში მოწვეული პედაგოგის სტატუსით გვყავს ბოლონიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული იტალიიდან, ქირურგი ალფონსო რეკორდარე.